საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
შპს „სანალია“-ს (ს/კ 247860998) დირექტორის
ბატონი სულიკო მახარაძის

სკრინინგის განცხადება

გაცნობებთ, რომ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფ. მახალაკიძეებში მოწყობილია შპს „სანალია“-ს საკუთრებაში ჩირუხ-სანალია ჰიდროელექტროსადგური. ჩირუხ-სანალიას არსებული ჰესის დადგმული სიმძლავრე შეადგენს 4.2 მგვტ-ს.

ჰესის წლიური ენერგოგამომუშავება შეადგენს 7.5-9.5 მლნკვტსთ-ს, წყალაღება 4.81 $მ^3$. ტურბინებიდან გამოსული წყალი ღია არხით ჩაედინება მდ. ჩირუხისწყალში.

ჰესის მუშაობა გათვალისწინებულია, როგორც ავტონომიურ რეჟიმში, აგრეთვე, პარალელურად, აჭარის ელექტროენერგეტიკულ სისტემასთან ერთად.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-5 მუხლის (ზოგადი დებულებანი) მოთხოვნების მიხედვით: გზშ-ს ექვემდებარება ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა და ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ის საქმიანობა, რომელიც ამ კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის შესაბამისად მიღებული სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გზშს.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიხედვით II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობებს მიეკუთვნება: “2 მეგავატიდან 5 მეგავატამდე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია” (3.8 პუნქტი).

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურების გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართები

1. შპს „სანალია“-ს მდ. ჩირუხისწყალზე და მდ. სანალიაზე ჰიდროელექროსადგურის (4.2 მგვტ) ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება - 1 ეგზემპლიარი (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია (CD დისკი);

2. შპს „სანალია“-ს მდ. ჩირუხისწყალზე და მდ. სანალიაზე ჰიდროელექროსადგურის არსებულ წყალმიმღებ ნაგებობებზე თევზსავალი კვანძების მოწყობის პროექტი - 1 ეგზემპლიარი (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია (CD დისკი);

პატივისცემით, **25.05.2021**

შპს „სანალია“-ს დირექტორი

სულიკო მახარაძე

„სანალია“ „SANALIA“ 247860998

№ 9319
"28" 05 2021